საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-703

ქ. თბილისი

22/08/2018

„გარდაბნის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი-აზერბაიჯანი საზღვარი(ს5) საავტომობილო გზის, თბილისი-საგარეჯოს გზის მონაკვეთის მშენებლობის“ პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის მე-11 და მე-13 პუნქტის და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07.12.2017 #1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გაიცეს „გარდაბნის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი-აზერბაიჯანი საზღვარი(ს5) საავტომობილო გზის, თბილისი-საგარეჯოს გზის მონაკვეთის მშენებლობის“ პროექტზე სკოპინგის დასკვნა #27 ; 31.07.2018წ.
2. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ვალდებულია გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს #27; 31.07.2018წ სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, გარდაბნის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი, მე-12კმ N6) მხარის მიერ მისის ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი